გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 7

2024 წლის 12 იანვარი
ქ. გორი

ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის მიმდებარედ, ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და ევროკავშირის წარმომადგენლობის შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე საჭიროა გაჩერდნენ მხოლოდ ევროკავშირის წარმომადგენლობის ავტომანქანები. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად. მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის მიმდებარედ, განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი საინფორმაციო ნიშნით (დაფა): „გარდა სამსახურებრივი ტრანსპორტისა“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის მიმდებარედ, განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი საინფორმაციო ნიშნით (დაფა): „გარდა სამსახურებრივი ტრანსპორტისა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. ქალაქ გორში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის შენობის მიმდებარედ, განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი საინფორმაციო ნიშნით (დაფა): „გარდა სამსახურებრივი ტრანსპორტისა“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**